

საქართველოს ეროვნული ბანკი აცხადებს ვაკანსიას საგადახდო სისტემების დეპარტამენტის საგადახდო სისტემების რეგულირების განყოფილების ფინანსისტის თანამდებობაზე.

საქართველოს ეროვნული ბანკი არის საჯარო იურიდიული პირი და წარმოადგენს საქართველოს ცენტრალურ ბანკს, ბანკთა ბანკს, რომლის ერთ-ერთი ფუნქციაა საგადახდო მომსახურების პროვაიდერების და საგადახდო სისტემების ოპერატორების ზედამხედველობა.

საგადახდო სისტემების დეპარტამენტის მიზანია საგადახდო სისტემებისა და საგადახდო მომსახურების საიმედო და შეუფერხებელი ფუნქციონირების ხელშეწყობა. ამ მიზნით მისი ერთ-ერთი ამოცანაა ზედამხედველობა გაუწიოს საგადახდო მომსახურების პროვაიდერების საქმიანობას, რაც მოიცავს როგორც პროვაიდერების დისტანციურ და ადგილზე შემოწმებას, ასევე პროვაიდერის საქმიანობის ანალიზის საფუძველზე შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადებას და მათი საქმიანობის რეგულირებას, საჭიროების შემთხვევაში სანქციებისა და შეზღუდვების დაწესებას ეროვნული ბანკის დებულებების, წესებისა და ინსტრუქციების შესაბამისად.

ფუნქცია-მოვალეობები:

- საგადახდო მომსახურების პროვაიდერებისგან მოწოდებული ფინანსური ინფორმაციის მიღება, დამუშავება, შეფასება და ანალიზი. გარე აუდიტის მიერ ფასს-ის (IFRS) სტანდარტების მიხედვით მომზადებული დასკვნის განხილვა;
- ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საგადახდო მომსახურების პროვაიდერის მიერ წარმოდგენილი ანგარიშგებების სისწორის შემოწმება, დამატებით იმ შესაბამისი ინფორმაციის მოთხოვნა და მიღება, დამუშავება და გაანალიზება რაც აუცილებელია პროვაიდერის საქმიანობისა და ფინანსური მდგომარეობის სრულყოფილი ანალიზისათვის;
- პროვაიდერის საქმიანობის, მათ შორის ფინანსური მდგომარეობის შეფასების მიზნით სტატისტიკური და დინამიური ანალიზის ჩატარება, შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება და წარდგენა;
- საგადახდო მომსახურების პროვაიდერის დისტანციური და ადგილზე შემოწმებაში მონაწილეობის მიღება და შესაბამისი დასკვნის მომზადება;
- ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საგადახდო მომსახურების პროვაიდერის მიერ ეროვნული ბანკის დებულებების წესების, ინსტრუქციების, მოთხოვნებისა და მითითებების დაცვაზე ზედამხედველობის დაწესება;
- ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული მოთხოვნების შეუსრულებლობის გამოვლენის შემთხვევაში ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საგადახდო მომსახურების პროვაიდერის მიმართ განსახორციელებელ ღონისძიებებსა და სანქციებზე წინადადების მომზადება და წარდგენა;
- სავალდებულო და სარეკომენდაციო ღონისძიებების შესრულებაზე კონტროლის განხორციელება;
- საგადახდო მომსახურების პროვაიდერებისათვის სახელმძღვანელო, მეთოდოლოგიური ან/და სარეკომენდაციო დოკუმენტების შემუშავების პროცესში მონაწილეობის მიღება.
- საგადახდო მომსახურების პროვაიდერების ლიკვიდაციის პროცესში მონაწილეობა.

ძირითადი მოთხოვნები:

- უმაღლესი განათლება;
- საოფისე კომპიუტერული პროგრამების სრულყოფილად ცოდნა;

- საჯარო სამსახურის, სამოქალაქო კანონმდებლობის და საგადახდო მომსახურების სფეროს რეგულირების საკითხებთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების, მარეგულირებელი წესების და ინსტრუქციების სრულყოფილად ცოდნა.

კომპეტენციები:

- პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა და კეთილსინდისიერება;
- კომუნიკაბელურობა და გუნდური მუშაობის უნარი;
- ორგანიზაციული უნარ-ჩვევები, დაგეგმვისა და სამუშაო დროის ოპტიმალურად განაწილების უნარი;

შერჩევის პროცესში უპირატესობა მიენიჭებათ იმ კანდიდატებს, რომლებსაც აქვთ:

- ფინანსური ანალიზის, აუდიტის და/ან საბანკო ზედამხედველობის სფეროში მუშაობის გამოცდილება;
- უცხო ენების (ინგლისური, რუსული) კარგი ცოდნა;

ანაზღაურება - განისაზღვრება კანდიდატის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესაბამისად.

კონკურსის ფორმა:

კონკურსი ჩატარდება ინტერვიუს სახით.

დაინტერესების შემთხვევაში, გთხოვთ, 2019 წლის 27 მაისამდე CV გამოაგზავნოთ ელექტრონული ფოსტის შემდეგ მისამართზე: vacancies@nbg.gov.ge და სათაურში მიუთითეთ ვაკანსიის დასახელება: **ფინანსისტი**.